GEORGIAN INTERNATIONAL ARBITRATION CENTRE

SUPPLEMENTARY TO THE GIAC ARBITRATION RULES

Remote Hearing Protocol

დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის პროტოკოლი

2026 Edition ■ 2026 წლის რედაქცია

Georgian International Arbitration Centre

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი

29 N. Shataidze St., Tbilisi 0114, Georgia

ნ. შატაიძის ქ. 29, თბილისი 0114, საქართველო

info@giac.ge | www.giac.ge

Contents

სარჩევი

1	Purpose and Legal Basis მიზანი და სამართლებრივი საფუძველი	3
2	Scope and Definitions მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტება	4
3	Seat of Arbitration საარბიტრაჟო განხილვის ადგილი	5
4	Decision on the Form of the Hearing მოსმენის ფორმის განსაზღვრა	5
5	Platform and Technical Arrangements პლატფორმა და ტექნიკური უზრუნველყოფა	6
6	Participants, Identification and Admission მონაწილეები, იდენტიფიკაცია და დაშვება	8
7	Conduct of the Hearing მოსმენის მიმდინარეობა	9
8	Documents დოკუმენტები	10
9	Examination of Witnesses and Experts მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა	10
10	Interpretation and Transcription თარგმანი და სტენოგრამა	12
11	Recording მოსმენის ჩაწერა	12
12	Confidentiality, Cybersecurity and Personal Data კონფიდენციალურობა, კიბერუსაფრთხოება და პერსონალური მონაცემები	13
13	Technical Disruptions ტექნიკური ხარვეზები	14
14	Costs and Liability ხარჯები და პასუხისმგებლობა	15
15	Final Provisions დასკვნითი დებულებები	16

ARTICLE 1

Purpose and Legal Basis

1. This Protocol establishes supplementary procedural rules for hearings and other meetings held, in whole or in part, by video conference or other means of remote communication in arbitrations administered by the Georgian International Arbitration Centre (GIAC), and sets out the obligations of the persons taking part in them.

2. This Protocol implements, and shall be read together with, Article 27(3) and Article 30(2) of the GIAC Arbitration Rules in force from 12 April 2024 (the "Rules"). The arbitral proceedings shall in all cases be conducted in accordance with the Rules. In case of any inconsistency between this Protocol and the Rules, the Rules shall prevail.

3. Where an arbitration is governed by an earlier version of the Rules pursuant to Article 2(2) of the Rules, this Protocol applies to the extent compatible with that version.

4. The Arbitral Tribunal may, after consulting the parties, supplement or depart from any provision of this Protocol by procedural measures adopted in the form of a resolution under Article 21(2) of the Rules, provided that such measures are not contrary to the Rules or to the agreement of the parties.

5. In applying this Protocol, the Arbitral Tribunal shall ensure that the parties are treated equally and are given a full and reasonable opportunity to present their case (Article 21(3) of the Rules), that the proceedings are conducted in an expeditious and cost-effective manner (Article 21(1) of the Rules), and that every effort is made to ensure the enforceability of the award (Article 47(1) of the Rules).

6. The Arbitral Tribunal may have regard to recognised international practice, in particular Article 8.2 of the IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration (2020) and the ICCA-NYC Bar-CPR Protocol on Cybersecurity in International Arbitration (2022 edi-

მუხლი 1

მიზანი და სამართლებრივი საფუძველი

1. წინამდებარე პროტოკოლი ადგენს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (შემდგომში „GIAC“) ადმინისტრირებით მიმდინარე საარბიტრაჟო საქმეებში ვიდეო კონფერენციის ან დისტანციური კომუნიკაციის სხვა საშუალებით, სრულად ან ნაწილობრივ, გამართული ზეპირი მოსმენებისა და სხვა შეხვედრების დამატებით პროცედურულ წესებს, აგრეთვე მათში მონაწილე პირთა ვალდებულებებს.

2. პროტოკოლი შემუშავებულია GIAC-ის 2024 წლის 12 აპრილიდან მოქმედი საარბიტრაჟო წესების (შემდგომში „წესები“) 27-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის განსავითარებლად და გამოიყენება მათთან ერთად. საარბიტრაჟო განხილვა ნებისმიერ შემთხვევაში წარიმართება წესების შესაბამისად. პროტოკოლსა და წესებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წესებს.

3. თუ წესების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვაზე ვრცელდება წესების წინა რედაქცია, პროტოკოლი გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი შეესაბამება გამოყენებულ რედაქციას.

4. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, წესების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დადგენილების ფორმით მიღებული პროცედურული ზომებით შეავსოს პროტოკოლის ნებისმიერი დებულება ან გადაუხვიოს მას, თუ ეს ზომები არ ეწინააღმდეგება წესებს ან მხარეთა შეთანხმებას.

5. პროტოკოლის გამოყენებისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას და თითოეული მხარისთვის საკუთარი პოზიციის წარმოდგენის სრული და გონივრული შესაძლებლობის მინიჭებას (წესების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი), საარბიტრაჟო განხილვის სწრაფად და ეკონომიურად წარმართვას (წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტი) და მაქსიმალურად უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობას (წესების 47-ე მუხლის პირველი პუნქტი).

6. საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მხედველობაში მიიღოს აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის (IBA) 2020 წლის წესების საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ 8.2 მუხლი და ICCA-NYC Bar-CPR-ის პროტოკოლი საერთაშორისო

tion), to the extent compatible with the Rules and the agreement of the parties.

ARTICLE 2

Scope and Definitions

1. This Protocol applies where a hearing or meeting is held remotely or in hybrid form:
   (a) by agreement of the parties;
   (b) by decision of the Arbitral Tribunal under Article 30(2) of the Rules; or
   (c) where a case management conference is held by video conference, telephone or other means of communication under Article 27(3) of the Rules.

2. This Protocol applies equally, with such adjustments as the urgency of the matter requires, to hearings before an Emergency Arbitrator (Article 5(1) of Annex V to the Rules) and to hearings under the Fast Track Arbitration Procedures (Article 5(4) of Annex IV to the Rules).

3. For the purposes of this Protocol:
   (a) "Remote Hearing" means a hearing in which all participants take part from different locations by video conference or other means of remote communication;
   (b) "Hybrid Hearing" means a hearing in which some participants are physically present at a hearing venue and others take part remotely;
   (c) "Hearing" means a Remote Hearing or a Hybrid Hearing, and includes case management conferences, procedural meetings and oral hearings on jurisdiction, the merits, interim measures or costs;
   (d) "Platform" means the video conferencing system and related technology used to conduct the Hearing;
   (e) "Participants" means the members of the Arbitral Tribunal, the secretary of the Arbitral Tribunal (if appointed), the parties, witnesses, experts, interpreters, court reporters, the GIAC case manager, the technical administrator and any other person

არბიტრაჟში კიბერუსაფრთხოების შესახებ (2022 წლის რედაქცია), იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი შეესაბამება წესებს და მხარეთა შეთანხმებას.

მუხლი 2

მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტება

1. პროტოკოლი გამოიყენება, როდესაც ზეპირი მოსმენა ან შეხვედრა დისტანციურად ან ჰიბრიდული ფორმით იმართება:
   ა) მხარეთა შეთანხმებით;
   ბ) წესების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით; ან
   გ) როდესაც პროცედურული კონფერენცია წესების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იმართება ტელევიდეოკონფერენციის, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით.

2. პროტოკოლი, საკითხის გადაუდებლობით განპირობებული ცვლილებების გათვალისწინებით, თანაბრად გამოიყენება საგანგებო არბიტრის მიერ გამართულ ზეპირ მოსმენაზე (წესების V დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი) და დაჩქარებული საარბიტრაჟო პროცედურების ფარგლებში გამართულ ზეპირ მოსმენაზე (წესების IV დანართის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი).

3. პროტოკოლის მიზნებისთვის:
   ა) „დისტანციური ზეპირი მოსმენა" არის ზეპირი მოსმენა, რომელშიც ყველა მონაწილე სხვადასხვა ადგილიდან, ვიდეო კონფერენციის ან დისტანციური კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით მონაწილეობს;
   ბ) „ჰიბრიდული ზეპირი მოსმენა" არის ზეპირი მოსმენა, რომელსაც მონაწილეთა ნაწილი ფიზიკურად ესწრება ზეპირი მოსმენის ადგილზე, ხოლო ნაწილი მასში დისტანციურად მონაწილეობს;
   გ) „მოსმენა" ნიშნავს დისტანციურ ან ჰიბრიდულ ზეპირ მოსმენას და მოიცავს პროცედურულ კონფერენციას, პროცედურულ შეხვედრას, აგრეთვე ზეპირ მოსმენას იურისდიქციის, დავის არსის, უზრუნველყოფის ღონისძიებების ან ხარჯების საკითხზე;
   დ) „პლატფორმა" ნიშნავს მოსმენის წარმართვისთვის გამოყენებულ ვიდეო კონფერენციის სისტემას და მასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიას;
   ე) „მონაწილეები" ნიშნავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრებს, საარბიტრაჟო

admitted to the Hearing by the Arbitral Tribunal;

(f) "Party" includes the party's representatives, unless the context requires otherwise.

ტრიბუნალის მდივანს (დანიშვნის შემთხვევაში), მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს, სტენოგრაფისტებს, GIAC-ის საქმის მენეჯერს, ტექნიკურ ადმინისტრატორს და ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მოსმენაზე დაუშვა;

ვ) „მხარე" მოიცავს მხარის წარმომადგენელს, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ARTICLE 3

Seat of Arbitration

1. Holding a Hearing remotely or in hybrid form does not change the seat of arbitration agreed by the parties or determined under Article 22(1) of the Rules.

2. Unless the parties agree otherwise, a Hearing held under this Protocol shall be deemed to have taken place at the seat of arbitration, irrespective of the physical location of any Participant. The award shall be deemed to have been rendered at the seat of arbitration (Article 22(3) of the Rules).

მუხლი 3

საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

1. მოსმენის დისტანციურად ან ჰიბრიდული ფორმით გამართვა არ ცვლის მხარეთა მიერ შეთანხმებულ ან წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ საარბიტრაჟო განხილვის ადგილს.

2. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, პროტოკოლის შესაბამისად გამართული მოსმენა ჩაითვლება საარბიტრაჟო განხილვის ადგილას ჩატარებულად, მიუხედავად მონაწილეთა ფიზიკური ადგილსამყოფელისა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ითვლება გამოტანილად საარბიტრაჟო განხილვის ადგილას (წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ARTICLE 4

Decision on the Form of the Hearing

1. In the absence of an agreement of the parties, the Arbitral Tribunal shall decide, after consulting the parties, whether a Hearing is to be conducted in person, remotely or in hybrid form (Article 30(2) of the Rules). In doing so, the Arbitral Tribunal shall take into account all relevant circumstances, including:
   (a) the views of the parties;
   (b) the nature and purpose of the Hearing and the extent of witness and expert evidence;
   (c) the location and time zones of the Participants, any travel restrictions, and the costs involved in relation to the amount in dispute;
   (d) the availability and reliability of the technology and internet connection of each Participant;
   (e) the need for interpretation;
   (f) confidentiality and data security; and

მუხლი 4

მოსმენის ფორმის განსაზღვრა

1. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, წყვეტს, ჩატარდება მოსმენა ფიზიკური დასწრებით, დისტანციურად თუ ჰიბრიდული ფორმით (წესების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ამ საკითხის გადაწყვეტისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, მათ შორის:
   ა) მხარეთა პოზიციებს;
   ბ) მოსმენის ხასიათსა და მიზანს, აგრეთვე მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვის მოცულობას;
   გ) მონაწილეთა ადგილსამყოფელს და სასაათო სარტყლებს, მგზავრობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და დავის ღირებულებასთან მიმართებით გასაწევ ხარჯებს;
   დ) თითოეული მონაწილისთვის ტექნოლოგიისა და ინტერნეტკავშირის ხელმისაწვდომობასა და საიმედოობას;
   ე) თარგმანის საჭიროებას;
   ვ) კონფიდენციალურობისა და მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს; და

(g) any mandatory requirements of the law of the seat or of the place where enforcement of the award is likely to be sought.

ზ) საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ან იმ ქვეყნის, სადაც სავარაუდოდ მოთხოვნილი იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, სამართლის იმპერატიულ მოთხოვნებს.

2. The decision on the form of the Hearing and the arrangements for it shall be recorded in a procedural resolution adopted reasonably in advance of the Hearing (Article 30(2) of the Rules).

2. გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის ფორმისა და მისი ორგანიზების შესახებ აისახება დადგენილებაში, რომელიც მიიღება მოსმენამდე გონივრულ ვადაში (წესების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

3. A party that objects to the Hearing being held remotely or in hybrid form shall raise the objection, with reasons, promptly after the matter is put to the parties and in any event before the Hearing begins. A party that proceeds with the Hearing without objecting promptly shall be deemed to have waived its right to object, unless it demonstrates that its failure to object was justified (Article 49 of the Rules).

3. მხარემ, რომელიც არ ეთანხმება მოსმენის დისტანციურად ან ჰიბრიდული ფორმით გამართვას, დასაბუთებული პრეტენზია უნდა განაცხადოს დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც საკითხი მხარეებს განსახილველად წარედგინათ, და ნებისმიერ შემთხვევაში მოსმენის დაწყებამდე. თუ მხარე პრეტენზიის დროულად განუცხადებლად აგრძელებს მოსმენაში მონაწილეობას, ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა პრეტენზიის განცხადების უფლების გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე დაასაბუთებს, რომ პრეტენზია საპატიო მიზეზით არ იქნა განცხადებული (წესების 49-ე მუხლი).

4. The Arbitral Tribunal may, after consulting the parties, change the form of a Hearing at any time where the circumstances so require.

4. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, ნებისმიერ დროს შეცვალოს მოსმენის ფორმა, თუ ამას გარემოებები მოითხოვს.

ARTICLE 5

Platform and Technical Arrangements

მუხლი 5

პლატფორმა და ტექნიკური უზრუნველყოფა

1. Unless the parties and the Arbitral Tribunal agree otherwise after consulting the Secretariat, Hearings shall be conducted on a Platform provided by GIAC. Official access to the Platform is provided by the Secretariat.

1. თუ მხარეები და საარბიტრაჟო ტრიბუნალი, სამდივნოსთან კონსულტაციის შემდეგ, სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, მოსმენა იმართება GIAC-ის მიერ უზრუნველყოფილი პლატფორმის გამოყენებით. პლატფორმაზე ოფიციალურ წვდომას უზრუნველყოფს სამდივნო.

2. Any Platform used shall, at a minimum, provide encryption of transmitted data, access protected by password or individual invitation, a waiting room or other means of admission control, separate virtual rooms, screen sharing and recording functions and, where required, separate channels for simultaneous interpretation.

2. გამოყენებული პლატფორმა, სულ მცირე, უნდა უზრუნველყოფდეს გადაცემული მონაცემების დაშიფვრას, პაროლით ან ინდივიდუალური მოწვევით დაცულ წვდომას, მოსაცდელ ოთახს ან დაშვების კონტროლის სხვა საშუალებას, ცალკე ვირტუალურ ოთახებს, ეკრანის გაზიარებისა და ჩაწერის ფუნქციებს და, საჭიროების შემთხვევაში, სინქრონული თარგმანის ცალკე არხებს.

3. The Secretariat shall send the access details and instructions for the Platform to the Arbitral Tribunal, the parties and the other Participants no later than one (1) business day before a Hearing. The details shall be sent to the email addresses notified by the parties under

3. სამდივნო პლატფორმაზე წვდომის დეტალებსა და შესაბამის ინსტრუქციებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს, მხარეებსა და სხვა მონაწილეებს უგზავნის მოსმენამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე. ინფორმაცია იგზავნება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, რომლებიც მხარეებმა

Article 4(1) and (3) of the Rules or stated in the Terms of Reference, unless a party has notified the Secretariat of a change of address.

მიუთითეს წესების მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად ან რომლებიც მითითებულია საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარემ სამდივნოს აცნობა მისამართის ცვლილების შესახებ.

4. Access details are personal to each Participant and shall not be forwarded to any person who is not included in a list of Participants under Article 6(2).

4. წვდომის დეტალები განკუთვნილია მხოლოდ კონკრეტული მონაწილისთვის და დაუშვებელია მათი გადაცემა ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არ არის შეყვანილი ამ პროტოკოლის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონაწილეთა სიაში.

5. Each party shall ensure that it and the witnesses, experts and other persons it presents have:

(a) a stable broadband internet connection, preferably wired, sufficient for uninterrupted two-way video;

(b) a computer with a camera, a microphone and speakers or a headset; a second screen is recommended for viewing documents; a mobile telephone may be used for video only with the permission of the Arbitral Tribunal;

(c) a backup connection and a telephone number at which the Participant can be reached during the Hearing;

(d) up-to-date versions of the Platform software and operating system; and

(e) a quiet, adequately lit and private room.

5. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მას და მის მიერ წარდგენილ მოწმეებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს ჰქონდეთ:

ა) სტაბილური, სასურველია სადენიანი, ფართოზოლოვანი ინტერნეტკავშირი, რომელიც საკმარისია შეუფერხებელი ორმხრივი ვიდეოკავშირისთვის;

ბ) კამერით, მიკროფონითა და დინამიკებით ან ყურსასმენით აღჭურვილი კომპიუტერი; დოკუმენტების დასათვალიერებლად რეკომენდებულია მეორე ეკრანი; მობილური ტელეფონის გამოყენება ვიდეოკავშირისთვის დასაშვებია მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებართვით;

გ) სარეზერვო კავშირი და ტელეფონის ნომერი, რომლითაც მოსმენის მიმდინარეობისას შესაძლებელი იქნება მონაწილესთან დაკავშირება;

დ) პლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემის განახლებული ვერსიები; და

ე) წყნარი, სათანადოდ განათებული და განცალკევებული ოთახი.

6. Before an oral hearing on the merits, and before any other Hearing where the Arbitral Tribunal considers it appropriate, the Secretariat shall organise a technical test session with the Participants, including, as far as practicable, witnesses, experts and interpreters. Each party shall designate a technical contact person who will be available throughout the Hearing.

6. დავის არსებით საკითხზე ზეპირ მოსმენამდე, აგრეთვე ნებისმიერ სხვა მოსმენამდე, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამდივნო მონაწილეებთან, მათ შორის, შესაძლებლობის ფარგლებში, მოწმეებთან, ექსპერტებთან და თარჯიმნებთან, აწყობს ტექნიკურ სატესტო შეხვედრას. თითოეული მხარე ნიშნავს ტექნიკურ საკონტაქტო პირს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსმენის მთელი მიმდინარეობისას.

7. The Secretariat may engage a technical administrator to manage admission to the Hearing, virtual rooms, screen sharing and recording, and to resolve technical problems. The technical administrator shall act only on technical

7. სამდივნოს შეუძლია ჩართოს ტექნიკური ადმინისტრატორი მოსმენაზე დაშვების, ვირტუალური ოთახების, ეკრანის გაზიარებისა და ჩაწერის მართვისა და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ტექნიკური ადმინისტრატორი მოქმედებს მხოლოდ

matters, shall not take part in the substance of the Hearing and is bound by the duty of confidentiality under Article 46(1) of the Rules.

ARTICLE 6

Participants, Identification and Admission

1. The Hearing is attended by the Arbitral Tribunal, the secretary of the Arbitral Tribunal (if appointed), the parties and the GIAC case manager. Unless the parties agree or the Arbitral Tribunal decides otherwise, witnesses and experts take part only during the time allocated for their examination. Interpreters, court reporters and the technical administrator take part to the extent necessary for the performance of their functions.

2. Each party shall submit to the Arbitral Tribunal, the other party and the Secretariat, by the date fixed by the Arbitral Tribunal and no later than five (5) business days before the Hearing, a list of its Participants stating each person's name, role and email address, the city and country from which the person will take part, and any other person who will be physically present with that Participant. Any change shall be notified without delay. No person who is not on a list may be admitted without the permission of the Arbitral Tribunal.

3. Before the Hearing begins, the Arbitral Tribunal shall review the list of attendees with the parties and ensure that every Participant has been identified. Witnesses and experts shall be identified immediately before their examination. Where an identity document must be checked, this shall be done by the GIAC case manager.

4. Each Participant shall display his or her full name correctly on the Platform. Party representatives shall indicate the party they represent before their name, for example: "Claimant: [Name Surname]".

ტექნიკურ საკითხებზე, არ მონაწილეობს მოსმენის არსებით ნაწილში და მასზე ვრცელდება წესების 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის ვალდებულება.

მუხლი 6

მონაწილეები, იდენტიფიკაცია და დაშვება

1. მოსმენას ესწრებიან საარბიტრაჟო ტრიბუნალი, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივანი (დანიშვნის შემთხვევაში), მხარეები და GIAC-ის საქმის მენეჯერი. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, მოწმეები და ექსპერტები მოსმენაში მონაწილეობენ მხოლოდ მათი დაკითხვისთვის განსაზღვრულ დროს. თარჯიმნები, სტენოგრაფისტები და ტექნიკური ადმინისტრატორი მოსმენაში მონაწილეობენ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათი ფუნქციების შესასრულებლად.

2. თითოეული მხარე საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში, და არაუგვიანეს მოსმენამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, საარბიტრაჟო ტრიბუნალს, მეორე მხარესა და სამდივნოს წარუდგენს თავისი მონაწილეების სიას, რომელშიც მითითებულია თითოეული პირის სახელი და გვარი, როლი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ქალაქი და ქვეყანა, საიდანაც პირი მიიღებს მონაწილეობას, და ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამ მონაწილესთან ერთად ფიზიკურად იმყოფება. ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიწოდებული. პირი, რომელიც არ არის შეყვანილი სიაში, მოსმენაზე არ დაიშვება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებართვის გარეშე.

3. მოსმენის დაწყებამდე საარბიტრაჟო ტრიბუნალი მხარეებთან ერთად გადაამოწმებს დამსწრეთა სიას და უზრუნველყოფს, რომ ყველა მონაწილე იდენტიფიცირებული იყოს. მოწმისა და ექსპერტის იდენტიფიცირება ხდება უშუალოდ მათი დაკითხვის დაწყების წინ. თუ საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გადამოწმება, მას GIAC-ის საქმის მენეჯერი ახორციელებს.

4. თითოეული მონაწილე ვალდებულია პლატფორმაზე სწორად მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. მხარის წარმომადგენელი სახელისა და გვარის წინ უთითებს, თუ რომელ მხარეს წარმოადგენს, მაგალითად: „საარბიტრაჟო მოსარჩელე: [სახელი გვარი]".

ARTICLE 7

Conduct of the Hearing

1. The Arbitral Tribunal is fully in charge of the Hearing (Article 30(2) of the Rules). At the beginning of the Hearing, unless these matters are already settled in a procedural resolution, the Arbitral Tribunal shall confirm with the parties the order of proceedings, the allocation of time, the procedure for objections, the arrangements for the examination of witnesses and experts and the procedure to be followed in the event of a technical disruption.

2. When fixing the starting and ending times of each hearing day and the breaks, the Arbitral Tribunal shall take into account the time zones in which the Participants are located, so that no party is unfairly disadvantaged.

3. Members of the Arbitral Tribunal, counsel while addressing the Arbitral Tribunal and the witness or expert under examination shall keep their cameras switched on. Other Participants may switch off their cameras with the permission of the Arbitral Tribunal. Microphones shall be muted when the Participant is not speaking.

4. Each party shall designate in advance its lead speaker for each part of the Hearing. Participants shall not interrupt one another and shall speak only when given the floor by the presiding arbitrator or the sole arbitrator; a request for the floor shall be made using the "raise hand" function or by another visible sign.

5. The chat function of the Platform may be used only for technical or organisational messages addressed to all Participants. The Arbitral Tribunal shall deliberate in a separate virtual room which is not recorded and to which no other Participant has access. The parties may use separate virtual rooms for private consultations during breaks.

6. Participants shall observe the same standards of conduct as at an in-person hearing, including appropriate attire and a neutral background. A witness or expert shall not use a vir-

მუხლი 7

მოსმენის მიმდინარეობა

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალი სრულად არის პასუხისმგებელი მოსმენის გამართვაზე (წესების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მოსმენის დასაწყისში, თუ ეს საკითხები დადგენილებით უკვე არ არის განსაზღვრული, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მხარეებთან ერთად აზუსტებს მოსმენის რიგითობას, დროის განაწილებას, პრეტენზიების განცხადების წესს, მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვის წესს და ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში მოქმედების წესს.

2. ზეპირი მოსმენის თითოეული დღის დაწყებისა და დასრულების დროისა და შესვენებების განსაზღვრისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი ითვალისწინებს მონაწილეთა სასაათო სარტყლებს, რათა არცერთი მხარე არ აღმოჩნდეს უსამართლოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში.

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრები, საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის სიტყვით მიმართვისას მხარის წარმომადგენელი და დაკითხვის პროცესში მყოფი მოწმე ან ექსპერტი ვალდებული არიან, კამერა ჩართული ჰქონდეთ. სხვა მონაწილეებს შეუძლიათ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებართვით, გამორთონ კამერა. მიკროფონი გამორთული უნდა იყოს, როდესაც მონაწილე არ საუბრობს.

4. თითოეული მხარე წინასწარ განსაზღვრავს ძირითად მომხსენებელს მოსმენის თითოეული ნაწილისთვის. მონაწილეები არ აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს და სიტყვით გამოდიან მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარის ან ერთი არბიტრის მიერ სიტყვის მიცემის შემდეგ; სიტყვის მოთხოვნა ხდება „ხელის აწევის" ფუნქციით ან სხვა თვალსაჩინო ნიშნით.

5. პლატფორმის ჩატის ფუნქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ყველა მონაწილისთვის განკუთვნილი ტექნიკური ან ორგანიზაციული შეტყობინებებისთვის. საარბიტრაჟო ტრიბუნალი თათბირობს ცალკე ვირტუალურ ოთახში, რომელიც არ იწერება და რომელზეც სხვა მონაწილეებს წვდომა არ აქვთ. მხარეებს შესვენების დროს შეუძლიათ ცალკე ვირტუალური ოთახები გამოიყენონ კონფიდენციალური კონსულტაციებისთვის.

6. მონაწილეები იცავენ ქცევის იმავე სტანდარტებს, რაც ფიზიკური დასწრებით გამართულ მოსმენაზე, მათ შორის შესაბამის ჩაცმულობასა და ნეიტრალურ ფონს. ჩვენების მიცემისას მოწმეს ან ექსპერტს ეკრძალება

tual background or background blurring while giving evidence.

7. In a Hybrid Hearing, the Arbitral Tribunal shall ensure that Participants taking part remotely can see and hear the proceedings in the hearing room, can be seen and heard by all other Participants, and have the same access to documents as those physically present. Where one party is physically present and the other takes part remotely, the Arbitral Tribunal shall take appropriate measures to preserve the equality of the parties.

ARTICLE 8

Documents

1. At the Hearing, documents shall be referred to by their page number. A party may use the screen sharing function to display documents; the Arbitral Tribunal may direct that screen sharing be operated by the technical administrator.

2. No new document may be introduced at the Hearing without the permission of the Arbitral Tribunal.

3. Documents to be put to a witness or expert shall be shown on screen or provided in a clean, unmarked electronic form.

ARTICLE 9

Examination of Witnesses and Experts

1. Each party is responsible for securing the participation of the witnesses and experts it presents. The party shall inform them in advance of this Protocol and of the details needed to take part in the Hearing, and shall ensure that they have the technology and connection required under Article 5(5) and that their names are correctly displayed on the Platform.

2. Witnesses and experts may be subjected to direct and cross-examination in accordance with Article 29(3) of the Rules; experts appointed by the Arbitral Tribunal may be questioned by

ვირტუალური ფონის ან ფონის დაბინდვის ფუნქციის გამოყენება.

7. ჰიბრიდული ზეპირი მოსმენისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი უზრუნველყოფს, რომ დისტანციურად ჩართულ მონაწილეებს შეეძლოთ დაინახონ და მოისმინონ სხდომის დარბაზში მიმდინარე პროცესი, იყვნენ ხილული და გასაგონი ყველა სხვა მონაწილისთვის და ჰქონდეთ დოკუმენტებზე იგივე წვდომა, რაც ფიზიკურად დამსწრე პირებს. თუ ერთი მხარე ფიზიკურად ესწრება მოსმენას, ხოლო მეორე მხარე დისტანციურად მონაწილეობს, საარბიტრაჟო ტრიბუნალი იღებს სათანადო ზომებს მხარეთა თანასწორობის დასაცავად.

მუხლი 8

დოკუმენტები

1. მოსმენაზე დოკუმენტებზე მითითება ხდება მათი გვერდის ნომრით. მხარეს შეუძლია ეკრანის გაზიარების ფუნქცია გამოიყენოს დოკუმენტების საჩვენებლად; საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მიუთითოს, რომ ეკრანის გაზიარებას ტექნიკური ადმინისტრატორი უზრუნველყოფდეს.

2. მოსმენაზე ახალი დოკუმენტის წარდგენა დაუშვებელია საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებართვის გარეშე.

3. მოწმისთვის ან ექსპერტისთვის წარსადგენი დოკუმენტები უნდა იქნას გაზიარებული ეკრანზე ან მიეწოდოს სუფთა, აღნიშვნების გარეშე, ელექტრონული ფორმით.

მუხლი 9

მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა

1. თითოეული მხარე პასუხისმგებელია მის მიერ წარდგენილი მოწმეებისა და ექსპერტების მოსმენაში მონაწილეობის უზრუნველყოფაზე. მხარე წინასწარ აწვდის მათ ინფორმაციას ამ პროტოკოლისა და მოსმენაში მონაწილეობისთვის საჭირო დეტალების შესახებ და უზრუნველყოფს, რომ მათ ჰქონდეთ ამ პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტექნოლოგია და კავშირი, ხოლო მათი სახელი და გვარი პლატფორმაზე სწორად იყოს მითითებული.

2. მოწმეები და ექსპერტები შეიძლება დაიკითხონ პირდაპირ და ჯვარედინად წესების 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად; საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნულ ექსპერტს მხარეებს შეუძლიათ

the parties in accordance with Article 29(4) of the Rules. No later than ten (10) days before the Hearing, each party shall notify the Arbitral Tribunal, the other party and the Secretariat of the place from which each of its witnesses and experts will give evidence and the language in which they will testify.

3. A witness or expert shall give evidence alone in a closed room, unless the Arbitral Tribunal permits otherwise. Any other person present in the room, including an interpreter or a technician, shall be disclosed in advance, identified at the start of the testimony and remain visible on camera.

4. Where a party wishes its representative or another person to be physically present at the location from which a witness or expert of the other party will give evidence, it shall submit a reasoned request by email to the Arbitral Tribunal, the Secretariat and the other party no later than seven (7) days before the date of the examination. The Arbitral Tribunal shall decide on the request.

5. While giving evidence, a witness or expert shall:

(a) keep the camera on and positioned so that his or her face, upper body and hands are visible, and keep the microphone on;

(b) not communicate with any other person by any means, including messaging applications;

(c) not consult any notes, documents, devices or software, including artificial intelligence tools, other than those permitted by the Arbitral Tribunal;

(d) at the request of the Arbitral Tribunal, show the room and the desk by moving the camera; and

(e) not discuss his or her evidence with any person during breaks in the testimony.

6. Before giving evidence, each witness and expert shall confirm his or her identity and declare that he or she will tell the truth or, in the case of an expert, that the opinion expressed is his or her genuine and independent opinion, and that he or she will comply with paragraph 5 of this Article.

დაუსვან შეკითხვები წესების 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. მოსმენამდე არაუგვიანეს 10 (ათი) დღით ადრე თითოეული მხარე საარბიტრაჟო ტრიბუნალს, მეორე მხარესა და სამდივნოს აცნობებს იმ ადგილის შესახებ, საიდანაც მისი თითოეული მოწმე და ექსპერტი მისცემს ჩვენებას, და იმ ენის შესახებ, რომელზეც ისინი ჩვენებას მისცემენ.

3. მოწმე ან ექსპერტი ჩვენებას იძლევა მარტო, დახურულ ოთახში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად არ დაუშვებს. ოთახში მყოფი ნებისმიერი სხვა პირი, მათ შორის თარჯიმანი ან ტექნიკური პერსონალი, წინასწარ უნდა იყოს მითითებული, იდენტიფიცირებულ იქნეს ჩვენების მიცემის დაწყებისას და მუდმივად ჩანდეს კამერაში.

4. თუ მხარეს სურს, რომ მისი წარმომადგენელი ან სხვა პირი ფიზიკურად იმყოფებოდეს იმ ადგილას, საიდანაც მეორე მხარის მოწმე ან ექსპერტი ჩვენებას მისცემს, იგი დაკითხვის თარიღამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე ელექტრონული ფოსტით დასაბუთებული მოთხოვნით მიმართავს საარბიტრაჟო ტრიბუნალს, სამდივნოსა და მეორე მხარეს. მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას იღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

5. ჩვენების მიცემისას მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია:

ა) კამერა ჰქონდეს ჩართული და ისე განთავსებული, რომ ჩანდეს მისი სახე, სხეულის ზედა ნაწილი და ხელები, ხოლო მიკროფონი ჰქონდეს ჩართული;

ბ) არ დაუკავშირდეს სხვა პირს არანაირი საშუალებით, მათ შორის შეტყობინებების გაგზავნის აპლიკაციებით;

გ) არ გამოიყენოს ჩანაწერები, დოკუმენტები, მოწყობილობები ან პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, გარდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დაშვებულისა;

დ) საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოთხოვნით, კამერის გადაადგილებით აჩვენოს ოთახი და სამუშაო მაგიდა; და

ე) ჩვენების მიცემის პროცესში გამოცხადებული შესვენებების დროს არავისთან განიხილოს თავისი ჩვენება.

6. ჩვენების მიცემამდე თითოეული მოწმე და ექსპერტი ადასტურებს საკუთარ ვინაობას და აცხადებს, რომ იტყვის სიმართლეს, ხოლო ექსპერტის შემთხვევაში, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრება არის მისი საკუთარი, კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი მოსაზრება, აგრეთვე, რომ დაიცავს ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს.

7. The Arbitral Tribunal may take any breach of this Article into account in determining the admissibility and weight of the evidence (Article 29(1) of the Rules), may suspend the examination or order that it be repeated, and may take the breach into account when deciding on costs (Article 45(5) of the Rules).

8. Where there is any obstacle to the remote examination of a witness or expert, the Arbitral Tribunal shall, after consulting the parties, decide on the appropriate measures, including rescheduling the examination, hearing the witness or expert in person, or adopting another procedure that ensures the equal treatment of the parties.

ARTICLE 10

Interpretation and Transcription

1. The Hearing shall be conducted in the language of the arbitration determined under Article 25 of the Rules. A party presenting a witness or expert who will not testify in that language shall arrange for a qualified interpreter, whose identity shall be notified in advance, unless the Arbitral Tribunal decides otherwise. The interpreter shall confirm his or her impartiality and undertake to keep the proceedings confidential.

2. The Arbitral Tribunal shall decide, after consulting the parties, whether interpretation is to be simultaneous, through a separate channel of the Platform, or consecutive.

3. Where agreed by the parties or ordered by the Arbitral Tribunal, a court reporter shall produce a verbatim transcript of the Hearing. The parties shall submit any agreed corrections to the transcript within the time limit fixed by the Arbitral Tribunal.

ARTICLE 11

Recording

1. The Secretariat and/or the Arbitral Tribunal shall make the audio and video recording of

7. საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია ამ მუხლის ნებისმიერი დარღვევა გაითვალისწინოს მტკიცებულების დასაშვებობისა და მნიშვნელობის განსაზღვრისას (წესების 29-ე მუხლის პირველი პუნქტი), შეაჩეროს დაკითხვა ან დაადგინოს მისი განმეორება, აგრეთვე დარღვევა მხედველობაში მიიღოს ხარჯების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (წესების 45-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

8. მოწმის ან ექსპერტის დისტანციურ დაკითხვასთან დაკავშირებით რაიმე დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას სათანადო ზომების შესახებ, მათ შორის დაკითხვის გადადების, მოწმის ან ექსპერტის ფიზიკური დასწრებით დაკითხვის ან სხვა ისეთი წესის გამოყენების თაობაზე, რომელიც მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს.

მუხლი 10

თარგმანი და სტენოგრამა

1. მოსმენა იმართება საარბიტრაჟო განხილვის ენაზე, რომელიც განსაზღვრულია წესების 25-ე მუხლის შესაბამისად. მხარე, რომელიც წარადგენს მოწმეს ან ექსპერტს, რომელიც ჩვენებას ამ ენაზე არ მისცემს, უზრუნველყოფს კვალიფიციურ თარჯიმანს, რომლის ვინაობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა იქნეს მიწოდებული, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად არ გადაწყვეტს. თარჯიმანი ადასტურებს, რომ არის მიუკერძოებელი, და იღებს საარბიტრაჟო განხილვის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალი, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, წყვეტს, განხორციელდება თარგმანი სინქრონულად, პლატფორმის ცალკე არხის მეშვეობით, თუ თანმიმდევრულად.

3. მხარეთა შეთანხმებით ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, სტენოგრაფისტი ამზადებს მოსმენის სიტყვასიტყვით სტენოგრამას. მხარეები სტენოგრამაში შეთანხმებულ შესწორებებს წარადგენენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 11

მოსმენის ჩაწერა

the Hearing. Deliberations of the Arbitral Tribunal and private consultations in separate virtual rooms shall not be recorded.

2. The recording is confidential (Article 30(4) and Article 46(1) of the Rules). The Secretariat shall make it available to the Arbitral Tribunal and, upon request, to the parties, solely for the purposes of the arbitration and of any court proceedings relating to it.

3. No other Participant may record, photograph, take screenshots of, broadcast or automatically transcribe any part of the Hearing by any means without the prior permission of the Arbitral Tribunal. This prohibition extends to note-taking, transcription and summarising tools, including those using artificial intelligence, that join the Platform or run on a Participant's device.

4. The Secretariat shall retain the recording for as long as necessary for the purposes of the arbitration and of any related court proceedings, and in any event at least until the expiry of the time limit for an application to set aside the award under the law of the seat of arbitration, in accordance with the Internal Rules of GIAC and the applicable data protection law.

ARTICLE 12

Confidentiality, Cybersecurity and Personal Data

1. Hearings are held in private, and all information, documents, recordings and transcripts relating to them are confidential unless the parties agree otherwise (Article 30(4) and Article 46 of the Rules). Each party is responsible for ensuring that the witnesses, experts and other persons it presents comply with this obligation.

2. Each Participant shall take reasonable measures to protect the security of the Hearing, including by:

1. მოსმენის აუდიო და ვიდეო ჩაწერას ახორციელებს სამდივნო ან/და საარბიტრაჟო ტრიბუნალი. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თათბირი და ცალკე ვირტუალურ ოთახებში გამართული კონფიდენციალური კონსულტაციები არ იწერება.

2. ჩანაწერი კონფიდენციალურია (წესების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 46-ე მუხლის პირველი პუნქტი). სამდივნო ჩანაწერს ხელმისაწვდომს ხდის საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში მხარეებისთვის, მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო წარმოების მიზნებისთვის.

3. არცერთ სხვა მონაწილეს არ აქვს უფლება, საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინასწარი ნებართვის გარეშე, ნებისმიერი საშუალებით ჩაწეროს, გადაიღოს, გააკეთოს ეკრანის ანაბეჭდი, გაავრცელოს ან ავტომატურად გადაიყვანოს ტექსტად მოსმენის ნებისმიერი ნაწილი. ეს აკრძალვა ვრცელდება ჩანაწერების გაკეთების, ტექსტად გარდაქმნისა და შეჯამების ინსტრუმენტებზე, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მოქმედ ინსტრუმენტებზე, რომლებიც უერთდება პლატფორმას ან მუშაობს მონაწილის მოწყობილობაზე.

4. სამდივნო ჩანაწერს ინახავს იმ ვადით, რაც აუცილებელია საარბიტრაჟო განხილვისა და მასთან დაკავშირებული სასამართლო წარმოების მიზნებისთვის, და ნებისმიერ შემთხვევაში, სულ მცირე, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლით გათვალისწინებული, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადების წარდგენის ვადის გასვლამდე, GIAC-ის შიდა წესებისა და მონაცემთა დაცვის სფეროში გამოსაყენებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12

კონფიდენციალურობა, კიბერუსაფრთხოება და პერსონალური მონაცემები

1. მოსმენა დახურულია და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ჩანაწერი და სტენოგრამა კონფიდენციალურია, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან (წესების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 46-ე მუხლი). თითოეული მხარე პასუხისმგებელია, რომ მის მიერ წარდგენილმა მოწმეებმა, ექსპერტებმა და სხვა პირებმა დაიცვან ეს ვალდებულება.

2. თითოეული მონაწილე იღებს გონივრულ ზომებს მოსმენის უსაფრთხოების დასაცავად, მათ შორის:

(a) using a secure private network and not a public Wi-Fi network;

(b) keeping software and security protections up to date;

(c) not sharing access links or passwords;

(d) taking part from a place where no unauthorised person can see or hear the Hearing, using a headset where necessary; and

(e) locking or closing any device left unattended.

3. Personal data processed in connection with a Hearing, including images, voice and identification data, shall be processed in accordance with the applicable data protection law and only to the extent necessary for the conduct of the arbitration. Each party shall inform the witnesses, experts and other persons it presents of such processing, including the recording of the Hearing.

4. Any Participant who becomes aware of actual or suspected unauthorised access to the Hearing, or of the disclosure of information relating to it, shall immediately inform the Arbitral Tribunal and the Secretariat. The Arbitral Tribunal shall, after consulting the parties, decide on the appropriate measures.

ARTICLE 13

Technical Disruptions

1. A Participant who loses audio or video connection, or is otherwise unable to follow the Hearing, shall immediately inform the GIAC case manager by the backup means agreed in advance and attempt to reconnect.

2. Where the connection of a member of the Arbitral Tribunal, a party's lead speaker, the witness or expert under examination or an interpreter is interrupted, the Hearing shall be paused until the connection is restored. Any part of the Hearing that a party was unable to follow because of a disruption shall, at its re-

ა) იყენებს დაცულ კერძო ქსელს და არა საჯარო Wi-Fi ქსელს;

ბ) პროგრამულ უზრუნველყოფასა და დაცვის საშუალებებს ინახავს განახლებულ მდგომარეობაში;

გ) არავის უზიარებს წვდომის ბმულებს ან პაროლებს;

დ) მოსმენაში მონაწილეობს ისეთი ადგილიდან, სადაც არაუფლებამოსილ პირს არ შეუძლია დაინახოს ან გაიგონოს მოსმენის მიმდინარეობა, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ყურსასმენს; და

ე) უყურადღებოდ დატოვებულ მოწყობილობას ბლოკავს ან ხურავს.

3. მოსმენასთან დაკავშირებით დამუშავებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის გამოსახულება, ხმა და საიდენტიფიკაციო მონაცემები, მუშავდება მონაცემთა დაცვის სფეროში გამოსაყენებელი კანონმდებლობის შესაბამისად და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია საარბიტრაჟო განხილვის წარმართვისთვის. თითოეული მხარე თავის მიერ წარდგენილ მოწმეებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს აცნობებს ასეთი დამუშავების, მათ შორის მოსმენის ჩაწერის შესახებ.

4. მონაწილე, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მოსმენაზე არაუფლებამოსილი წვდომის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი ან ასეთი ფაქტის ეჭვი, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს და სამდივნოს. საარბიტრაჟო ტრიბუნალი, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას სათანადო ზომების შესახებ.

მუხლი 13

ტექნიკური ხარვეზები

1. მონაწილე, რომელსაც გაეთიშება აუდიო ან ვიდეო კავშირი ან სხვაგვარად ვერ ახერხებს მოსმენის მიმდინარეობის თვალყურის დევნებას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს GIAC-ის საქმის მენეჯერს წინასწარ შეთანხმებული სარეზერვო საშუალებით და ცდილობს კავშირის აღდგენას.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრის, მხარის ძირითადი მომხსენებლის, დაკითხვის პროცესში მყოფი მოწმის ან ექსპერტის ან თარჯიმნის კავშირის შეწყვეტისას მოსმენა ჩერდება კავშირის აღდგენამდე. მოსმენის ის ნაწილი, რომლის თვალყურის დევნებაც მხარემ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ შეძლო, მისი მოთხოვნით მეორდება ან ხარვეზი სხვაგვარად

quest, be repeated or otherwise remedied as the Arbitral Tribunal decides.

3. Time lost because of a technical disruption shall not be counted against the time allocated to a party, unless the Arbitral Tribunal decides otherwise, in particular where the disruption results from that party's failure to comply with Article 5(5).

4. Where a disruption cannot be resolved within a reasonable time, the Arbitral Tribunal may, after consulting the parties, continue by audio connection only (except for the examination of a witness or expert, unless the parties agree), adjourn or reschedule the Hearing, or adopt any other measure that ensures the equal treatment of the parties and a full opportunity to present their case.

5. If a party fails to appear at the Hearing without valid reason, the Arbitral Tribunal may proceed in its absence (Article 30(3) of the Rules). A technical problem that has been promptly reported and is not attributable to a lack of diligence on the part of that party shall be considered a valid reason.

6. At the close of the Hearing, the Arbitral Tribunal shall ask the parties to confirm whether they have had a full and equal opportunity to present their case and whether they have any objection to the conduct of the Hearing. Their answers shall be recorded in the transcript or in the minutes of the Hearing.

ARTICLE 14

Costs and Liability

1. The costs of the Platform provided by GIAC, of the technical administrator and of interpretation and transcription services arranged through GIAC form part of the Costs of Arbitration under Article 45(1) of the Rules, and the Secretariat may fix additional fees for them under Article 2(3) of Annex I to the Rules. Each party shall bear its own technology costs, subject to the decision of the Arbitral Tribunal on costs (Article 45(5) and (8) of the Rules).

აღმოიფხვრება საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. ტექნიკური ხარვეზის გამო დაკარგული დრო არ აკლდება მხარისთვის გამოყოფილ დროს, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, კერძოდ, როდესაც ხარვეზი გამოწვეულია ამ მხარის მიერ ამ პროტოკოლის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობით.

4. თუ ხარვეზის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში შეუძლებელია, საარბიტრაჟო ტრიბუნალს, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია გააგრძელოს მოსმენა მხოლოდ აუდიო კავშირით (გარდა მოწმის ან ექსპერტის დაკითხვისა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ), გადადოს მოსმენა ან განსაზღვროს მისი ახალი თარიღი, ან მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას და საკუთარი პოზიციის წარმოდგენის სრულ შესაძლებლობას.

5. თუ მხარე საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება მოსმენაზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მოსმენა გამართოს ამ მხარის დაუსწრებლად (წესების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი). დროულად შეტყობინებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც არ არის გამოწვეული ამ მხარის მიერ სათანადო გულმოდგინების გამოუჩენლობით, ჩაითვლება საპატიო მიზეზად.

6. მოსმენის დასრულებისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი მხარეებს სთხოვს დაადასტურონ, ჰქონდათ თუ არა საკუთარი პოზიციის წარმოდგენის სრული და თანაბარი შესაძლებლობა და აქვთ თუ არა რაიმე პრეტენზია მოსმენის წარმართვასთან დაკავშირებით. მხარეთა პასუხები აისახება მოსმენის სტენოგრამაში ან ოქმში.

მუხლი 14

ხარჯები და პასუხისმგებლობა

1. GIAC-ის მიერ უზრუნველყოფილი პლატფორმის, ტექნიკური ადმინისტრატორის, აგრეთვე GIAC-ის მეშვეობით ორგანიზებული თარგმანისა და სტენოგრაფიის მომსახურების ხარჯები წარმოადგენს საარბიტრაჟო ხარჯების ნაწილს წესების 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და სამდივნოს შეუძლია მათთვის დააწესოს დამატებითი გადასახადი წესების I დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. თითოეული მხარე თავად ფარავს საკუთარ ტექნოლოგიურ ხარჯებს, ხარჯების შესახებ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების

2. To the extent legally permissible, GIAC and its employees, the arbitrators, the technical administrator and any person appointed by the Arbitral Tribunal shall not be liable for the functioning, availability or security of the Platform or of third-party networks, including against hacking or other unauthorised access or leaks, or for any damage arising from them (Article 48 of the Rules). Each party is responsible for its own equipment and connection and for those of the persons it presents.

ARTICLE 15

Final Provisions

1. Where a matter is not expressly regulated by this Protocol, GIAC and the Arbitral Tribunal shall act in the spirit of the Rules and of this Protocol (Article 47(1) of the Rules).

2. This Protocol is made in English and Georgian. In case of discrepancy, the version in the language of the arbitration shall prevail; where the arbitration is conducted in another language, the English version shall prevail.

გათვალისწინებით (წესების 45-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტები).

2. GIAC და მისი თანამშრომლები, არბიტრები, ტექნიკური ადმინისტრატორი და საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დანიშნული ნებისმიერი პირი, კანონით დაშვებულ ფარგლებში, არ არიან პასუხისმგებელი პლატფორმის ან მესამე პირთა ქსელების ფუნქციონირებაზე, ხელმისაწვდომობასა და დაცულობაზე, მათ შორის ჰაკერული ან სხვაგვარი არაუფლებამოსილი წვდომისა თუ გაჟონვისგან, და მათით გამოწვეულ ზიანზე (წესების 48-ე მუხლი). თითოეული მხარე პასუხისმგებელია საკუთარ და მის მიერ წარდგენილი პირების აღჭურვილობასა და კავშირზე.

მუხლი 15

დასკვნითი დებულებები

1. როდესაც კონკრეტულ საკითხს პროტოკოლი პირდაპირ არ არეგულირებს, GIAC და საარბიტრაჟო ტრიბუნალი მოქმედებენ წესებისა და ამ პროტოკოლის სულისკვეთებით (წესების 47-ე მუხლის პირველი პუნქტი).

2. პროტოკოლი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საარბიტრაჟო განხილვის ენაზე შედგენილ ტექსტს, ხოლო თუ საარბიტრაჟო განხილვა სხვა ენაზე მიმდინარეობს, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.